განკარგულება:**g-27.27212222**
თარიღი:**10/08/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 60

10 აგვისტო 2021წ.

ქ. თელავი

2021 წლის 02 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით

სააგიტაციო მასალების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. 2021 წლის 02 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **სააგიტაციო მასალის გასაკრავად/ გამოსაფენად** განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

1. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო - აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა - ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა - ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;

3. სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ელექტრო ან სხვა დანიშნულების ბოძებზე - 3(სამი) მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ-მოწყობილობებთან არაუმეტეს 1(ერთი) მეტრის სიახლოვისა.

მუხლი 2. აკრძალულია სააგიტაციო მასალების გაკვრა: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობზე, საგზაო ნიშნებზე, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი N16, აგრეთვე თვითმმართველობის ადმინისტრაციული ერთეულების შენობებზე, სასამართლოს მის:ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41, იუსტიციის სახლის მის: ერეკლე II-ის მოედანი N3, სამხედრო ქალაქის მის: ქ.თელავი, თამარის ქუჩა N36, სამხარეო პოლიციის მის: ქ.თელავი, აჩინებული, რაიონული პოლიციის მის: ქ.თელავი, ვარდოშვილის ქუჩა N9 და რაიონული პოლიციის სოფელი ნაფარეულის განყოფილების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.

მუხლი 3.

1. ამ განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი

ადგილებით.

2. ამ განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2) ფორმატით.

მუხლი 4. სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, გარდა ამავე განკარგულებით აკრძალული შენობა-ნაგებობებისა.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე.

მუხლი 6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი